გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   საკრებულოს გამჭვირვალოების და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებით

2. **თემატიკა:**
   მოქალაქეთა ჩართულობა - მოსახლოების მიმართ საკრებულოს გამჭვირვალოების და დეპუტატების ანგარიშვალდებულების დონის გაუმჯობესება, საკრებულოს სხდომების პირდაპირ ეთერში, მუნი9ციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://oz.gov.ge/ge/home ტრანსლირებით.ასევე (Facebook-ზე live strim)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   - ნანა თავდუმაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრეულოს აპარატის უფროსი, ტელეფონი: 599 983900 ელ-ფოსტა: nanatavdumadze@gmail.com
   - ა(ა)იპ ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ (ყოფილი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი), ტელ: 551 541564, ელ.ფოსტა: yscozurgeti@gmail.com
   - გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, ტელ: 599 156 384, ელ-ფოსტა: gyrcinfo@gmail.com

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

   - **გამოწვევა** - საკრებულოს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალეობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია და პირდაპირ ახდენენ ზეგავლენას თვითმმართველობაში საზოგადოების მონაწილეობის დონეზე. გამჭვირვალოების დაბალი ხარისხის იწვევს საზოგადოების გაუცხოებას და მოსახლეობაში ზრდის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ. დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობაა. ამჟამად საქართველო თვითმმართველობის რეფორმის სწორედ იმ ეტაპზეა, როდესაც ასეთი ჩართულობის გაზრდა და აღნიშნული განწყობის ცვლილება ძალზედ მნიშვნელოვანია თვითმმართველობის კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. შესაბამისად ჩვენი ინიციატივა მიმართულია თვითმმრთველობის განხოციელებაში მოქალქეთა ჩართულობის გაზრდისაკენ, საკრებულოს გამჭირვალეობის და ანგარიშვალდებულების ამაღლებით.
     ინიციატივის მიზანია საკრებულოს გამჭვირვალოების და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებ სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებით
     ამოცანები:
     1. საკრებულოს სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება (Facebook-ზე live strim).
   - **მიღწეული შედეგები**

- მოცემული ეტაპისთვის საკრებულოს Youtube არხზე 118 ჩანაწერი განთავსებული, იხილეთ: https://www.youtube.com/channel/UC00D3Rorzce8JsiG9ptej6Q/videos.
- ვიდეო ჩანაწერები ძირთადად შემდეგ საკითხების ეხება:
    - საკრებულოს სხდომების ვიდეოჩანაწერები;
    - დეპუტატების ანგარიშების ჩანაწერები;
    - საკრებულოსთან ბიუროს სხდომის ჩანაწერები
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 5 ტერიტორიულ ერთეულში (კონჭკათში, მელექედურში, ლიხაურში, თხინვალსა და ბახვში) შეიქმნა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილია საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები.
- განხორციელდება 24-მდე სხდომის პირდაპირი ტრანსლირება ინტერნეტის საშუალებით.
- გაიზრდება საკრებულოს დეპუტატების საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა, რაც სამომავლოდ მოსახლეობას სწორი არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემს.
- გაიზრდება საკრებულოს დეპუტატების ანგარიშვალდებულება.
- საკრებულოს ვებ.გვერდზე განთავსებულია live სტრიმის ბანერი.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ფართობი შეადგენს 643,07 კმ2.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით - აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა; აღმოსავლეთით - ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია შავმიწა-ალუვიური და ეწერმიწა ნიადაგები. მუნიციპალიტეტის გორაკ-ბორცვიან ზოლში გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები. მდინარეების, ნატანებისა და ბჟუჟის ტერასებზე განვითარებულია ალუვიური მეორადი წარმოშობის წითელმიწა ნიადაგები, ხოლო ზღვისპირა ზოლში ჭაობიანი ეწერ-ლებიანი ნიადაგები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ვაკეა, რაც მდინარე ნატანების ჭალებს წარმოადგენს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 20 მეტრია. ვაკის ჩრდილოეთით მდებარეობს გურიის სერის სამხრეთ-დასავლეთი დაბოლოება, სადაც ზღვის დონიდან სიმაღლე საშუალოდ 120 მეტრია.

ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით. ტენიანობას განაპირობებს შავი ზღვის საიხლოვე და აღმოსავლეთიდან გარშემორტყმული მაღალი ქედები. ტენიანობა განსაკუთრებით მაღალია ზაფხულში. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 2100–2800 მმ.-ს. ნალექების მაქსიმუმი სექტემბერში მოდის, მინიმუმი - მაისში. ჰაერის საშუალო

წლიური ტემპერატურა 14,5°C-დან -4°C-მდე, ყველაზე ცივი თვეა იანვარი (+5°C-დან -5°C-მდე), ხოლო ყველაზე თბილი - აგვისტო (+23°C-დან +13°C-მდე).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიისთვის დამახასიათებელია სეზონური ქარები: ზამთარში ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულში დასავლეთის ქარები. ქარის საშუალო სიჩქარე შეადგენს 3,2 მ/წმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია 5–6 ბალიან ზონაში მიწისძვრების საშიშროების თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყეს უკავია 17021 ჰექტარი. მცენარეულ საფარს ქმნიან წაბლი, რცხილა, წიფელი, თხმელა, ქვეტყის სახით გვხვდება მოცვი, შქერი, წყავი. ბუნებრივი ტყეები შემორჩენილია მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მაღალმიან მხარეში. ზღვის დონიდან 700-1700 მეტრზე არის ფოთლოვანი ტყე (მურყანი, რცხილა, წიფელი), ხოლო 1700-2100 მეტრზე წიწვოვანი ტყე (ფიჭვი, სოჭი, ნაძვი).

მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის აღწერით იყო 77 200 ათასი კაცი; 2010 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა იყო 84 126 კაცი.

მუნიციპალიტეტს მოსახლეობა დაახლოებით 76 ათასი ადამიანია. მათი 96% ქართველია, ძირითადად ცხოვრობენ გურულები, ასევე აჭარლები. აგრეთვე ცხოვრობენ სომხები (2%) და რუსები (1%). მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, მცირე ნაწილი - მუსლიმები, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთა მცირე ჯგუფები.

მუნიციპალიტეტში 73 დასახლებული პუნქტია. სიმჭიდროვე — 98,58 კაცი კმ 2-ზე

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

- **შიდა ფაქტორები** - წარდგენილი პროექტის განხორციელებას ხელი შეუწყო საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა კვალიფიკაციამ და შესაბამისმა ტექნიკურმა შესაძლებლობამ.
- **გარეშე ფაქტორები** - გარეშე ფაქტორებს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტში არსებული მძლავრი საზოგადოებრივი სექტორი, ოზურგეთის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია და მოქმედებს 7 ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაცია: ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ (ყოფილი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი), გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, გურიი აგრობიზნეს ცენტრი, ევროკლუბი. აღნიშნული ორგანიზაციებიდან სამის („პროგრესის სახლი“, გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი) საქმიანობის ძირითადი მიმართულება თვითმმართველობი განივთარებაა, შესაბამისად ისინი სხვადასხვა დონორების ხელშეწყობით ახორციელბენ პროექტებს, რაც თვითმმართველობის განვითარებას უწყობს ხელს. ჩამოყალიბებული

კონსტრუქციული თანამშრომლობა ჩვენი წარმატების ერთ-ერთი ძირითადი საწინდარია.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**

აქტივობების ჩამონათვალი	I	II	III	IV
შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა	X			
საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა სწავლება.	X			
საკრებულოს სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებით (Facebook-ზე live strim).	X	X	X	X
სოციალური ქსელების საშუალებით live strim-ების პოპულარიზაცია.	X	X	X	X
Youtube არხზე საკრებულოს სხდომების არქივის ორგანიზება	X	X	X	X
საკრებულოს ოფიციალურ ვებ.გვედზე სხდომების ვიდეო ჩანაწერების არქივის ლინკის (ბანერის) განთავსება	X			

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი** (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

  დადგენილება №1 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (27/11/2017), იხილეთ დანართი 1.
  მუხლი 10. საკრებულოს სხდომების ტრანსლაცია. 1. საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოეწყოს საკრებულოს ღია სხდომების რადიო და ტელე ტრანსლაცია, აგრეთვე ტრანსლაცია ინტერნეტის მეშვეობით. 2. თუ საკრებულოს ღია სხდომაზე მოსულ დასწრების მსურველთა რაოდენობა მეტია, ვიდრე საკრებულოს სხდომათა დარბაზში დამსწრე პირებისათვის გამოყოფილ ადგილების რაოდენობა, სავალდებულოა სხდომის ტრანსლაცია, ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით სხდომაზე დასწრების მსურველთათვის სხდომის მიმდინარეობის მოსმენის უზრუნველყოფა. 3. საკრებულოს სხდომის ტრანსლაციას და მის საჯაროობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**

  ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 5 ტერიტორიულ ერთეულში (კონჭკათში, მელექედურში, ლიხაურში, თხინვალსა და ბახვში) შეიქმნა და თანამედროვე

ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილია საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის შესახებ;**

ინიციატივის განხორცილება შესაძლებელი გახდა:

1. გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრის პროექტით „მართე სახლიდან“ - ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (1 ივლისი, 2015 – 31 დეკემბერი, 2016) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული თემების საკრებულოსთან პარტნიორობით. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.
2. ა(ა)იპ ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ (ყოფილი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი) პროექტი "თანამშრომლობა ქალაქ ოზურგეთში თვითმმართველობის გამჭვირვალობის და მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად“ ფარგლებში (ევროპის ფონდის მხარდაჭერით) ანხორციელებდა ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს სხდომების ტრანსლირებას Facebook strim-ზე.

ადამიანური რესურსი: საჭიროა ორი ადამიანი. 1. აპარატის თანამშრომელი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და უზრუნველყოფს ტექნიკურ გამართულობას. 2. საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ფასილიტაციის პროცესს.
ტექნიკური რესურსი: Hardware – 1 ნოუთბუქი, 1 ვიდეო კამერა შტატივით, 4G მოდემი. Software - OBS Studio (ღია კოდის მქონე უფასო ტექნოლოგია OBS - Open Broadcaster Software) და facebook-ის მოქმედი ანგარიში (Account).

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

აქტივობის განხოცილებისას ხელისშემშლელი პრობლემები არ გვქონია.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

1. გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი
2. ა(ა)იპ ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ (ყოფილი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი).

8. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

- მოცემული ეტაპისთვის საკრებულოს სხდომის 30-ზე მეტი ვიდეოჩანაწერია განთავსებული Youtube არხზე . https://www.youtube.com/channel/UC00D3Rorzce8JsiG9ptej6Q/

საკრებულოს სხდომების Live strim ტრანსლირებამ კარგი შედეგი გამოიღო, კერძოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩაერთო ღია მმართველობის (OGP)-ის პროცესში. იხილეთ ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა

- https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448?publication=0
- http://oz.gov.ge/ge/live
- ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) ადგილობრივი თვითმმართველობის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის მაგალითის გაზიარების მიზნით ქ.ბათუმის, ზუგდიდის, ახალციხის, ფოთის მუნიციპალიტეტებში კონსულტაციებზე მიწვეული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

- გამოცდილების გაზიარების მიზნით დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმება ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან.
  ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრაქტიკა დადებითად შეფასდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო-OSCE), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო-OECD) და ანტიკორუფციული ქსელის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის (ACN) საერთაშორისო სემინარზე - „ახალი მიდგომები და პრაქტიკული საშუალებები ადგილობრივ დონეზე კორუფციის თავიდან ასაცილებლად“. ანტიკორუფციული ქსელის თემატურ - სასწავლო სახელმძღვანელოში „კორუფციის პრევენცია ადგილობრივ დონეზე: კარგი პრაქტიკა და პოლიტიკური რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისათვის“, პრაქტიკულ მაგალითად განიხილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიღწევები.(იხ.დანართი)

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები**

- წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია სოციალურ ქსელებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ.გვერდის პოპულარიზაცია.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;**

- აღნიშნული პრაქტიკა 2016 წელს დავიწყეთ და სისტემა დღემდე მუშაობს. მოცემული ეტაპისთვის საკრებულოს Youtube არხზე 120 ჩანაწერი განთავსებული.

10. **საკრებულოს როლი:**

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**

თავდაპირველად საპროექტო იდეა გაცნობილ იქნა საკრებულოს თავმჯდომარისთვის, შემდეგ აქტივობის (პროექტის) შემუშავების პროცესში ჩართული იყო საკრებულოს აპარატი.

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოსახლეობის ჩაბმისა და ინფორმირებულობის გაზრდისათვის მუდმივად ნერგანვს სხვადასხვა ინოვაციებს. აღნიშნულის დასტურია თვითმმართველობის ინდექსის 2017 წლის კვლევაში დაკავენული პირველი ადგილი საკრებულოებს შორის (იხილეთ: http://www.lsgindex.org/ge/rating). საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში ჩვენი საკრებულოს მიერ 4 აქტივობა იქნა შერჩეული, რომელთაგან საკრებულოს სხდომების ვიდეო ტრანსლირების ამოქმედება ერთ-ერთია.

- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი საკრებულოს სხდომების გარდა ახორციელებდა დეპუტატების ანგარიშების და გასვლითის სხდომების პირდაპირი ეთერების ტრანსლირება.

11. **პრაქტიკასთან/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

საკრებულო გეგმავს ჩაართულობის ცენტრების დამატებას მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში. ეს საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ მოსახლეობის ჩართულობა.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

თამარ ღლონტი - გურიიია ახალგაზრდული რესურს ცენტრი - ვიცე-პრეზიდენტი, ტელ: 599 156384, ელ.ფოსტა: tamghlonti@gmail.com

ლევან მჟავანაძე - ა(ა)იპ ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ - პროგრამების მენეჯერი, ტელ: 599 924284, ელ.ფოსტა: levan.mzhavanadze@gmail.com

მინდია სალუქვაძე - ა(ა)იპ ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ - ორგანიზაციის თავმჯდომარე, ტელ: 551 541564, ელ.ფოსტა: mindia_7@yahoo.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

1. დადგენილება №1 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (27/11/2017) - danarti#1_reglamenti.pdf.
2. ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა
3. საპრეზენტაციო ფაილი

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 18 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე bp@nala.ge